ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6678163

ნომერი: AR1990163

თარიღი : 18.09.2023

გაცემის თარიღი : 25.09.2023

გაცნობის თარიღი : 25.09.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ცაცხვების V შესახვევი, N 12;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია ბაბუხადია პ/ნ 60001146247
- ქუთაისი გ.ლეონიძის ქ. N 6 ბ. 7

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი #AR1990163 ელექტრონული განაცხადი, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის#20–104 დადგენილების მე–2 მუხლის თანახმად,

სამსახურის მიზნებია სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში თბილისი) ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების
განხორციელება, თბილისის განვითარების კონცეფციის შემუშავება, მისი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების თაობაზე, შესაბამისი კვლევების ჩატარება და რეკომენდაციების მომზადება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება. ასევე მე–3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის
ფუნქციებს განეკუთვნება არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვა თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით დადგენილ ტერიტორიაზე.

განცხადებაში მოყვანილი ფაქტების შემოწმება და რეაგირება სცდება სამსახურის კომპეტენციას და უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას.